მენორა

ДАМОУКИДЕБЕЛИ ЕБРАУЛИ ГАЗЕТИ САКАРТВЕЛОШИ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ოქტომბერი (ხეშვანი) №9 (505) (5784) 2023

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

მ ი ლ ო ც ვ ა

ებრაული თემის ძვირფასო წევრებო,

წელიწადის ეს დრო ყოველთვის განსაკუთრებულია, რადგან ჩვენ ველით ახალი 5784 წლის დადგომას.

ეს არის დრო დაფიქრების, ახალი ძალებისა და იმედის გაჩენის დრო. ჩვენ ვიხსენებთ და ვფიქრდებით იმაზე, თუ რა გვინდა, რომ აღარ დაბრუნდეს და რას ვისურვებდით, რომ მომავალ წელსაც განმეორდეს, რათა ის წინაზე უკეთესი გავხადოთ.

ჩემთვის წლევანდელი როშ ჰაშანა ნიშნავს, ჩემი, როგორც ისრაელის ელჩის, აქ ყოფნის მეორე წელიწადს. გასულ წელს მქონდა დიდი პატივი, რომ გამეცნო საქართველოს ებრაული თემი, ერთად აღგვენიშნა დღესასწაულები, ასევე ერთად გავიზიარეთ, როგორც მხიარული, ასევე სევდიანი წუთები. გასული წელი იყო ძალზედ ნაყოფიერი ისრაელ-საქართველოს ურთიერთობებში, რაც მაღალი დონის ოფიციალურმა ვიზიტებმაც დაადასტურა. ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი ღონისძიება იყო, „ქართველი შინდლერის“, „მსოფლიოს ხალხთა მართალი შვილის“ - ბატონი სერგო მეტრეველის საპატივცემულო ცერემონია, როდესაც, დავით ბაზოვის სახელობის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში, ისრაელის ქნესეთის სპიკერმა, ბატონმა ამირ ოხანამ მეტრეველის ოჯახის წევრებს, ისრაელის სახელმწიფოს სახელით საპატიო სიგელები გადასცა.

მიუხედავად მრავალი წლისა, რაც ჰოლოკოსტის შემდეგ გავიდა, ამ მოვლენამ ყველა შეგვძრა. საელჩო გააგრძელებს მუშაობას საქართველოს სახელმწიფოს უფლებამოსილ პირებთან და ებრაულ თემთან ერთად, რათა ცოდნა და მეხსიერება ჰოლოკოსტის შესახებ განმტკიცდეს და უფრო ფართოდ ისწავლებოდეს საქართველოს სკოლებში.

როშ ჰაშანა და იომ ქიფური, რომელიც მას მოჰყვება, ებრაულ კალენდარში ახალი წლის დასაწყისს ნიშნავს, თვითგამორკვევისა და მომავალი წლისთვის მიზნების დასახვის დროს. დრო, რომ ვითხოვოთ პატიება და ასევე, საკუთარ თავში ვიპოვოთ ძალები პატიებისთვის.

მინდა გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და მივულოცო თითოეულ თქვენგანს ეს განსაკუთრებული მოვლენა. ამ ახალმა წელმა მოგვიტანოს ჩვენ და ჩვენს ოჯახებს სიკეთე, ჯანმრთელობა, კეთილდღეობა, ბედნიერება და შეისმინოს ჩვენი ლოცვები.

კიდევ ერთხელ, თქვენ და თქვენს ახლობლებს ბედნიერ და მხიარულ როშ ჰაშანას და შინაარსიან იომ ქიფურს გისურვებთ. დაე, შოფარის ხმამ ყველას საკეთილდღეო გარდაქმნების, განკურნებისა და ახალი წამოწყების ამბავი გვაუწყოს.

შანა ტოვა უმეთუკა!

გმარ ხათიმა ტოვა!

ჰაედას მეიცადი

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში

Rabbi Yakov Gagulashvili
Chief Rabbi of Georgian Jews in Diaspora and Israel
Head of Rabbinical Court in financial affairs
Member of Chief Rabbinate

הפדרציה של יהדות גיאורגיה

רבי יעקב גאגולאשווילי
רבה הראשי של יהדות גיאורגיה בארץ ובתפוצות
חבר לשכת הדת"ר אשדוד
ודיין ואב"ד לדיני ממונות אשדוד-ירושלים

საქართველოდან ამოსულ ებრაელთა რაბების საბჭოს მიმართვა

ისრაელის შვილებო, ებრაელნო - მსოფლიოს ყველა კუთხეში, მძიმე დღეები გვიდგას, ჩვენი შვილების უამანკო სისხლით ირწყვება ისრაელის წმინდა მიწა, დაუძინებელი მტრის სისასტიკემ შეძრა სიმართლის მხარეს მდგომი მსოფლიო. თუმცა, მთელი ჩვენი არსებობის ისტორია გადარჩენისათვის ბრძოლის ისტორიაა - გადარჩენისა და უფლისაგან ნაბოძებ მიწაზე დამკვიდრების ისტორია.

ებრაელ ერს ლომის ბუნება აქვს - ცხოველთა მეფის, უძლიერესი მებრძოლის, რომლის ხმაც მთელს არემარეს აყრუებს, როდესაც მტრის წინააღმდეგ განრისხდება. ასეთ დროს ყველა უძლურია მის წინაშე და ის უსათუოდ გაიმარჯვებს. ასე მოხდება ახლაც - ისრაელის შემთხვევაში.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ყველაფერი გამჩენისაგანაა, მათ შორის ეს განსაცდელიც და ყველამ უწყოდეს, რომ სწორედ ესაა ნიშანი ჩვენი დახსნის დასაწყისისა. ამიტომ მორჩილებით და რწმენით უნდა მივიღოთ იგი და ღირსეულად აღვუდგეთ წინ მტერს, რომელიც მუხანათურად, მალულად და უღირსად იპარება, ქალებს, მოხუცებსა და უსუსურ ბავშვებს გვიკლავს, გვიწამებს და შეურაცხყოფს - ეს ჩვენი გადასატანია და გადავიტანთ კიდეც და უფალიც ჩვენთან იქნება.

ჩვენ, საქართველოდან ამოსულ ებრაელთა რაბების საბჭო - რაბი იაკობ გაგულაშვილის ხელმძღვანელობით, ერთად ვლოცულობთ მთელი ისრაელისთვის და ისრაელისშვილებისთვის ამ ძნელბედობის ჟამს. დალოცოს მაღალმა და ყოვლისშემძლე გამჩენმა ჩვენი ერი, მშვიდობით დააბრუნოს ყველა მებრძოლი და შინიდან გასული ადამიანი ყოველი, ცოცხლებს სიცოცხლე შეუნარჩუნოს, ტყვედ წაყვანილნი მშვიდობით გამოიხსნას, გარდაცვლილთა წმინდა ნეშამები კი მარადიულ ნათელში დაამკვიდროს სამარადისოდ.

Rabbi Yakov Gagulashvili
Chief Rabbi of Georgian Jews in Diaspora and Israel
Head of Rabbinical Court in financial affairs
Member of Chief Rabbinate

הפדרציה של יהדות גיאורגיה

רבי יעקב גאגולאשווילי
רבה הראשי של יהדות גיאורגיה בארץ ובתפוצות
חבר לשכת הדת"ר אשדוד
ודיין ואב"ד לדיני ממונות אשדוד-ירושלים

გულისტკივილით და თანაგრძნობით ვუსამძიმრებთ დაღუპულთა ოჯახებს, გამჩენი იყოს მათი მძიმე ტვირთის შემამსუბუქებელი და გვერდში მდგომი.

სამწუხაროდ, დიდი მსხვერპლია ჩვენს რიგებში და ეს შავი ციფრები კიდევ უფრო იზრდება, რადგან უკიდეგანოა სისხლს მოწყურებულ ტერორისტთა აღვირახსნილი სისასტიკე, და ამდენად, კიდევ უფრო მაღალია ჩვენი სამშობლოს დამცველი მებრძოლების პატრიოტული სულისკვეთება - გამჩენი იყოს მათი მფარველი!

ჩვენ ერთად ვლოცულობთ მშვიდობისათვის!

ვთხოვთ მთელს ჯამაათს: ილოცეთ შვილებო, ილოცეთ! წაიკითხეთ თეჰილიმის 121,130, 142 და 91 თავები - მითითებული თანმიმდევრობით.

ახლა განვაახლეთ თორის საკვირაო თავების კითხვის ყოველწლიური ციკლი, დავიწყეთ „ბერეშითის“ ფარაშით, ინებოს ღმერთმა, რომ მშვიდობიანი და ბედნიერი დასაწყისი ჰქონდეს ისრაელსა და მთელს სამყაროს ახლადშემოსული 5784 წლისა.

შევთხოვოთ გამჩენს, რომ მალე დამთავრდეს ეს ომი ისრაელის და სამართლიანობის გამაჯვებით, ამენ!

იაკობ გაგულაშვილი - მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბი, იერუშალაიმისა და აშდოდის მთავარი რელიგიური მოსამართლე

რაბი აბრაამ აჯიაშვილი - ქალაქ კირიათ ათას რაბი

იცხაკ მოძღვრიშვილი - ქალაქ ლუდის რაბი

ბენციონ მიხელაშვილი- ქალაქ ლუდის რაბი

აარონ ელაშვილი - ქალაქ ლუდის რაბი

შაბთაი მიხელაშვილი - ქალაქ კირიათ მალახის რაბი

რახამიმ რეფაელ ჩიკვაშვილი - ქალაქ იერუშალაიმის რაბი

29 თიშრე 5784 წ.

ისრაელის მხარდამჭერი აქციები თბილისში

გამარჯობა ქალბატონო ია*.

ვითარება დაძაბულია... ომია... ზურგის სამსახური გვირჩევს, არ გავიდეთ ქუჩებში.

მიმდინარეობს მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია ღაზას სექტორში, შედარებით უსაფრთხო რაიონებში. ისრაელში ღაზას სექტორთან მიმდებარე ქალაქებში: აშდოდში, აშკელონში... შეშფოთებაა. უნდა აღინიშნოს, რომ ტერორისტები ღაზას მოსახლეობას არ აძლევენ ევაკუაციის საშუალებას და დამცავ ფარად იყენებენ. ბოლო საინფორმაციო ცნობით, დაღუპულია 1300-ზე მეტი ებრაელი, 3000-ზე მეტი დაჭრილია, ბევრი მათგანი მძიმედ... ენით აუწერელია ტერორისტების („ხამასი“ და „ჯიჰადი“) სისასტიკე: ისინი აუპატიურებენ ქალებსაც, მამაკაცებსაც, მათ თვალწინ თოთო ბავშვებს და მოზრდილ შვილებს უკლავენ, თავებს და სხეულის სხვა ნაწილებს ჭრიან და მშობლებს აყურებინებენ, მერე მათაც თავებს ჭრიან... ამგვარადვე ექცევიან მოხუცებს, ინვალიდებს... ტერორისტები ვიდეო კადრებს თვითონ იღებენ და ავრცელებენ... საფრთხეშია არაბი მოსახლეობა იუდეაში და სამარიაში. ტერორისტებს ისინი სძულთ, რადგან ევროპულ ყაიდაზე ცხოვრობენ...

და ეს ყველაფერი მოხდა სპარსელების (ირანის) და მათი მეგობრების, მოკავშირეების — ფაშიზმის მომხრეების წასისინებით, როგორც ეს ხდებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს...

მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, ფაშისტები დამარცხდებიან და ორი ხალხის — სხვადასხვა სარწმუნოების ადაიანების თანაცხოვრება ისევ გაგძელდება აღთქმულ მიწაზე.

ქალბატონო ია, ძალიან გთხოვთ ეს „ჩემგან ნაწერი ხელითა“, ქალბატონი მანანა გორგიშვილის დახმარებით გადასცეთ ბატონ რევაზ მიშველაძეს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს, ბატონ გოჩა ხარებავას... თუ გადაუგზავნით ბატონ ზაალ ნემსაძეს და ჩემი სახელით თხოვთ გადასცეს ქართულ TV-ში დიდი მადლობელი დაგრჩებით.

თუ დროს გამონახავთ და ამ წერილს მიაწოდებთ ბატონ ვაჟა ოთარაშვილს კარგი იქნება.

ბატონ გოჩა ხარებავას დავურეკავ.

რაც შემეხება მე ვაგრძელებ მუშაობას, ვთარგმნი „ამირანს“ რუსულ ენაზე და შესაბამისად გადაითარგმნება ებრაულ და ინგლისურ ენებზე.

პატივისცემით,

იაკობ პაპიაშვილი

***ია გორგიშვილი** — საქართველოს პარლამენტის საბიბლიოთეკო მომსახურების და ინფორმაციის დეპარტამენტის თანამშრომელი, რომელმაც მთხოვა, მიმეწერა, თუ რა მდგომარეობაა ისრაელში (ავტ).

ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც 7 ოქტომბრის სისხლიანი დილა გათენდა.

ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც 1400-მდე უდანაშაულო ადამიანის სული ზეცას შეუერთდა. ზოგი დაობლდა, ზოგმა შვილი, ან შვილები დაკარგა, ზოგს ბებია-ბაბუები გასტაცეს, მაგრამ არის ოჯახები, რომლის ყველა წევრი ტერორისტების სამიზნე გახდა. არ ვიცი, ვერ ვიტყვი, რა უფრო მარტივია: ადამიანმა დაკარგოს ერთი ოჯახის წევრი, თუ ხელჩაკიდებული ოჯახის წევრების სულები ანგელოზებივით ერთად ავიდნენ ზეცად...

მაგრამ ერთი ვიცი: ადრე თუ შაბათი დასვენების დღესთან ასოცირდებოდა, ახლა დიდი ხნის მანძილზე ალბათ, 7 ოქტომბრის სისხლიან შაბათთან იქნება დაკავშირებული.

ჰოლოკოსტის შემდეგ ვამბობდით „აღარასოდეს“! მაგრამ ეს მოხდა, ეს განმეორდა და

6 000 000 დაღუპული, უდანაშაულო ებრაელის რიცხვს, 1400 კიდევ შეემატა, კიდევ არაერთი ჯარისკაცის სიცოცხლე, რომლებმაც სამშობლოსა და თანამოძმეების დაცვას საკუთარი მკერდით მიუშვირა.

ოცდამეერთე საუკუნეა — იქმნება ანდროიდები და ხელოვნური ინტელექტი, მაგრამ ადამიანის სიცოცხლე, ისევ საფრთხეშია. ისევ გვესაკლისება სიტყვა „მშვიდობა“.

ვუსამძიმრებ ყველა დაღუპულის ოჯახს. დავესესხები წმინდა წიგნს — თორას და ვიტყვი: გამარჯვება ისრაელს ამ რთულ გზაზე.

„იუდა, გადიდებენ ძმები; მტრების ხერხემალს დათრგუნავ ხელით! გეთაყვანებიან მამაშენის ნაშიერნი. ლომის ბოკვერია იუდა! წამომდგარხარ, შვილო, ნადავლით ხელში; წაიხარა, გაწვა ლომივით, ვინ გაბედავს მის წამოგდებას? არ წაერთმევა კვერთხი იუდას, არც არ განიფერხთა შუიდან, ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და ის იქნება იმედი ხალხთა“

აი, ასეთია მამამთავარ იაკობის კურთხევა, წინასწარმეტყველური და გამამხნევებელი. ეს სიტყვები ჯერ კიდევ მაშინ წარმოითქვა, როდესაც ებრაელობა ეგვიპტის უღელქვეშ გმინავდა და იწრთობოდა — ჰქონდა გამჩენის იმედი. ამ იმედმა და რწმენამ გამოიყვანა ეგვიპტიდან, გაუძლო ბაბილონისა და რომის შემოსევებს; არ აღიგავა მიწის პირისაგან მაშინაც კი, როდესაც გეტოებში გამოკეტილმა 6 000 000 ებრაელის სულმა, ზეცისკენ გაიკვალა გზა. თალმუდის კომენტარშიც ამას ვკითხულობთ: **„ღმერთმა იმიტომ აჩვენა ალმოდეული ბუჩქი მოსეს, რომ მიენიშნებინა: „აი, როგორც ეს ბუჩქი არ იწვის, თუმცა, ცეცხლი უკიდია, ისე ვერ გაანადგურებს მტერი ისრაელის შვილებს“**

მრავალთა მიერ აღვლენილი ლოცვა, კეთილსურნელოვან საკმევლად მიემართება გამჩენის ტახტისკენ, და ეს მრავალი იმათ მართალზე გაცილებით მეტია, რომელთა გამოც უნდა გადარჩენილიყო სოდომ-გომორი.

ასე, რომ გამხნევდით, გაიმაგრეთ გული და გქონდეთ გამჩენის იმედი!

მარი მახარაძე
აღმოსავლეთმცოდნე, ებრაისტი

„ისრაელის სახლი“ დეზინფორმაციული ომის წინააღმდეგ

მსოფლიოს 18 ქვეყანაში მოქმედი „ისრაელის სახლი“, რომლის საპილოტე ვარიანტი 10 წლის წინათ საქართველოდან დაიწყო, 7 ოქტომბერს ისრაელზე ტერორისტული თავდასხმის დღიდან ჩაერთო დეზინფორმაციული კამპანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ორგანიზაცია ჯერკიდევ ახალი დაფუძნებულია, „ისრაელის სახლმა“ ადგილობრივ მედიას მიაწოდა ზუსტი ინფორმაცია მომხდართან დაკავშირებით და საერთოდ, ე. წ. ისრაელ-არაბულ კონფლიქტზე. „ისრაელის სახლის“ წარმომადგენლებმ ავრცელი ინტერვიუ გავიდა ინდოეთის, კოსოვოს, ალბანეთის, აშშ-ს და საქართველოს ტელეეთერებში.

„ისრაელის სახლის“ დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, იციკ მოშეს თქმით, მნიშვნელოვანია საგარეო ასპარეზზე ისრაელის ინფორმაციული მხარდაჭერა და სახალხო დიპლომატიის გზით ქვეყნის წარმოდგენა. ამ მიზნით, „ისრაელის სახლმა“ ტერორისტების თავდასხმამდე რამდენიმე კვირით ადრე, იერუსალიმში გამართა საერთაშორისო ფორუმი, რომელშიც ისრაელის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად 18 ქვეყნის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

იციკ მოშემ ფორუმს წარუდგინა 18 ქვეყანაში “ისრაელის სახლის“ წარმომად გენლ ები დ ა ისაუბრ ა სამ ძირით ად გ ზავნილზე: ისრაელის ერთიანობა და იდ ენტობის საკითხის გაძლ იერება, ბილ ატერალური თ ანამშრომლობა დ ა ისრაელ ის გაძლიერება, როგორც ებრაელ ობის უსაფრთხოების გარანტი.

ფორუმი ისრაელის სახელმწიფოს 75 წლისთავსა და საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნისადმი სოლიდარობის მიღწევას მიეძღვნა.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართეს „ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელი ქოენმა, ისრაელის კულტურის მინისტრმა მიკი ზოარმა, „ისრაელის სახლის“ ხელმძღვანელმა იციკ მოშემ, საქართველოს პარლამენტში ისრაელთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელმა გივიმიქანაძემ, ისრაელის ქნესეთში საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელმა დავიდ ბიტანმა, ქნესეთის ყოფილმა ვიცე-სპიკერმა ხილიკ ბარმა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ევროპიდან და ავსტრალიიდან.

— მე აქ მოვედი ისრაელის მთავრობის სახელით, რომ მადლობა გადაგიხადოთ. როდესაც გავიგე „ისრაელის სახლის“ შესახებ და შევხვდი იციკ მოშეს, დავინახე ისრაელის სახელმწიფოს ინტერესები. მილიონი ისრაელელის მილიონ ელჩად გადაქცევა და ჰასბარას 100 ორგანიზაციის გახსნა მისასალმებელია — განაცხადა ფორუმზე ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა და იციკმოშე შიმონ პერესს შეადარა: „ფანტასტიკურს მხოლოდ ფანტაზიის მქონე ადამიანები ქმნიან“. მისივე თქმით, „ისრაელის სახლს“ უკვე დიდი წარმატებები აქვს.

მიკი ზოარი:

— იციკ მოშე ასეთი საქმიანობისთვის დიდ შეფასებას იმსახურებს. ხელისუფლებას აქვს ინტერესი, რომ „ისრაელის სახლი“ გაძლიერდეს, რადგან სახელმწიფო ვერ ახერხებს ყოველთვის გააკეთოს ის, რასაც აკეთებს „ისრაელის სახლი“.

ისრაელის ქნესეთში საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელის დავიდ ბიტანის თქმით, თუ გაქვს იდეოლოგია და მასში სდებ შენს ენერგიას, აუცილებლად მიაღწევ წარმატებას. და ამის მაგალითია იციკ მოშე.

— იციკი აკეთებს განსაკუთრებულს და აუცილებლად მიაღწევს 100 წარმომადგენლობას. ირანელებს მისი ლიკვიდაცია ჰასბარაში მიღწეული წარმატების გამო სურდათ. და ამის მიუხედავად, ის აგრძელებს მნიშვნელოვან საქმეს“, - განაცხადა დავიდ ბიტანმა.

ფორუმზე აღინიშნა, რომ „ისრაელის სახლი“ რომელიც 10 წლის წინათ საქართველოში დაარსდა, დღეს უკვე მსოფლიოში გავლენიანი ორგანიზაციაა და ისრაელის მხარდაჭერასა და ბილატერალურ ურთიერთობებზე 18 ქვეყანაში მუშაობს, რაც საგარეო საქმეთა მინისტრის, ელი ქოენის თქმით, ისრაელისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა

ფორუმზე საქართველო იყო ერთადერთი 18 ქვეყნიდან, რომლის წარმომადგენელმაც სიტყვით მიმართა ღონისძიების მონაწილეებს; ისრაელთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელმა გივი მიქანაძემ ფორუმის მონაწილეებს გააცნო სიახლე, რომ საქართველოს სკოლებში დაიწყება ჰოლოკოსტისა და ანტისემიტიზმის ისტორიის სწავლება.

— დიდი პატივია ჩემთვის ვიდგე აქ და გავიზიარო თქვენი გრძობები. საქართველოს პარლამანტის სახელით გისურვებთ ყველაფერ საუკეთესოს და გილოცავთ იუბილეს. დიდი ხანია დიპლომატიური ურთიერთობები ვითარდება. ჩვენი ქვეყნები აჩვენებენ სამაგალითო მეგობრობას. როცა ვამბობთ, რომ ეს ურთიერთობა არის გამორჩეული, ის დაფუძნებულია ფაქტებზე. საქართველო პირველი იყო ვინც გაუხსნა კარი ჟენისჰ გენცყ-ს. უნდა გამოვარჩიოთ, რომ პირველი ისრაელის სახლი ჩამოყალიბდა საქართველოში. პარლამენტარული ჯგუფები და საელჩო დიდ როლს ასრულებენ. ისრაელის სახლი უმნიშვნელოვანესია დიპლომატიური ურთიერთობების და ხიდების ასაშენებლად — განაცხადა ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას ისრაელთან მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელმა გივიმიქანაძემ.

ფორუმი გახდა საქართველოს ისრაელისა და მსოფლიო ებრაელობის ურთიერთობის ახალი პლ ატფორმა.

იციკ მოშემ აზრით, მცირერიცხოვანი ერებისთვის აუცილებელია საერთაშორისო ასპარეზზე მხარდაჭერის მოპოვება, ქვეყნის გარეთ კი თითოეული ებრაელი თავისი ქვეყნის დიპლომატია.

ფორუმი ახალგაზრდა ქართველი მომღერლის ქრისტი ჯაფარიძისა და საოპერო მომღერლის ელმინა ჰასანის მიერშ ესრულებული ებრაული მუსიკალური ნომრებისა და იერუსალიმის ცეკვის ანსამბლის თანხლებით წარიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდა 350 ადამიანი მემარცხენე და მემარჯვენე პარტიებიდან, რაც იმ პერიოდში ისრაელში მიმდინარესაპროტესტო აქციების ფონზე იყო ერთიანობისა და კონცესუსის დემონსტრირება, რაც, ტრადიციულად, ლაიტმოტივად გასდევს „ისრაელის სახლის“ ღონისძიებებს.

ღონისძიება მეფე დავითის კოშკში გაიმართა.

მარიამ კაპანაძე

ფოტოგამოფენა „ისრაელი — 75“

3 ოქტომბერს, თბილისში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დამოუკიდებლობის დარბაზში ფოტოგამოფენა „ისრაელი — 75“ გახსნის ოფიციალური ცერემონია გაიმართა . გამოფენის ექსპოზიცია ისრაელის სახელმწიფოს 75 წლისთავს და სამშობლოსთვის დაღუპულ ჯარისკაცთა ხსოვნას ეძღვნებოდა.

ფოტოგამოფენის გახსნის ცერემონიალზე სიტყვით

გამოვიდნენ: ქალბატონი ჰადას მეიცადი, ისრაელის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში, მიხაილ კარალნიკი (ფოტოკლუბი „კეთილმეგობრობის“ ხელმძღვანელი), ელენე რუსეცკი („ქალთა საინფორმაციო ცენტრი“-ს ხელმძღვანელი), ზოჰარ დავიდი („ჯოინთის“ საქართველოში წარმომადგენლობის ხელმძღვანელი), მარინე სოლომონიშვილი (ფონდი ლეა&ებრაელ ქალთა საბჭოს ხელმძღვანელი).

ფოტოების ავტორები იყვნენ ისრაელიდან ჯგუფი: მიხაილ კარალნიკი, კლარა ნეიკოვა, ჯოზეფ ერპერტი, პაველ ზერციკელი (ფოტოკლუბი „კეთილმეგობრობის“ წევრები).

აღსანიშნავია, რომ მიხეილ კარალნიკი და მისი მეუღლე ქუთაისში ცხოვრობდნენ და წლების წინ გაემგზავრნენ მუდმივ საცხოვრებლად ისრაელში. მართალია ოდესაში და სხვა ქალაქებშიც ჰქონდათ გამოფენა ორგანიზებული, მაგრამ ძალიან უნდოდათ საქართველოში გამოფენის მოწყობა, რადგან ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის მრავალსაუკუნოვან მეგობრობას ღრმა ისტორიული საფუძველი გააჩნია.

ფოტოგამოფენა ხელოვნების გზით ხაზს უსვამს, რასაც ებრაულმა სახელმწიფომ მიაღწია ხელახალი აღდგენის მოკლე დროის -75 წლის განმავლობაში, ამავდროულად აქვს მდიდარი მრავალსაუკუნოვანი წარსული . რასაც ესადაგება თემა „გვახსოვდეს წარსული უკეთესი მომავლისათვის“.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი ნამუშევრების დიდი ნაწილი ებრაელი ხალხის ერთიანობასა და ისრაელის თავდაცვის ძალების ქვეყნისადმი ერთგულებას გამოხატავს. ასახავს მათ ურყევ ნებას, გეოპოლიტიკური სირთულეების მიუხედავად, დაიცვან თავიანთი სამშობლო, ეხმიანება ისრაელის წინაშე არსებულ გამოწვევებსაც. ამასთან, გვჩვენებს უნიკალურ კადრებს ყოფილ ჰოლოკოსტის დროს გადარჩენილთა ცხოვრებიდან, ტერორისტული აქტის მსხვერპლ პოლიციელთა და მათ მიერ წლების წინ გადარჩენილ ქალთა და ბავშვთა სახეებს, გვაძლევს შესაძლებლობას უკეთ გავეცნოთ ისრაელის ყოველდღიურ ცხოვრებას და ქვეყანას სადაც წარმოდგენილია მსოფლიო მნიშვნელობის სხვადასხვა სასულიერო ცენტრები.

ღონისძიების ორგანიზატორები და მხარდამჭერები იყვნენ, ისრაელიდან ფოტოკლუბი „კეთილმეგობრობა“, ხოლო საქართველოდან - „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, „ფონდი ლეა & ებრაელ ქალთა საბჭო“ და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

„ისრაელი — 75“ ფოტოგამოფენის ფარგლებში „ქალთა საინფორმაციო ცენტრი-ს“ და „ებრაელ ქალთა საბჭო & ფონდი ლეა“-ს თანამშრომლობა ხაზს უსვამს

მსურველებს ფოტოგამოფენა „ისრაელი — 75“ ნახვის შესაძლებლობა 3-5 ოქტომბრის განმავლობაში ქონდათ.

მარინე სოლომონიშვილი

სიმონ სიმონიშვილი: ბოროტისა და კეთილის გზაჯვარედინზე

„მენორა“-ს სტუმარია პროფესორი სიმონ სიმონიშვილი

ლია კრიხელი. გთხოვთ მკითხველს გააცნოთ თქვენი წარმომავლობა: სად დაიბადეთ, ბავშვობა. გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ.

ს. სიმონიშვილი. დავიბადე (1933 წლის 14 ივნისს) ქ. თბილისში ძველი თბილისის ერთ-ერთ მეტად კოლორიტულ უბანში. გავიზარდე თბილისურ ეზოში. მაშიდელი თბილისური ეზო მრავალეთნიკური იყო, მაგრამ ეზოს ყველა მაცხოვრებელი ერთი დიდი ოჯახის წევრი გახლდათ. ჟურნალისტი თეა ცაგურიშვილი აღნიშნავდა, რომ „ძველი თბილისური ეზო საყოველთაო სიდუხჭირის წლებში ურთიერთდახმარებისა და მორალური მხარდაჭერის ბიბლიურ ნიმუშებს იძლეოდა“. ქართველები განსაკუთრებით გამოირჩეოდენ თავისი კეთილშობილებითა და სხვა ადამიანებთან, არაქართველებთან, კეთილი, სათნო დამოკიდებულებით. ასევე გამოირჩეოდა ქართველ ებრაელთა დიდი უმრავლესობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი ებრაელობა ყოველთვის მხარს უჭერდა და მხარში ედგა ქართველებს, არასოდეს არ უღალატიათ მათთვის და არასოდეს არ განუცხადებიათ რაიმე პრეტენზია საქართველოს რომელიმე ტერიტორიულ ნაწილზე. როგორც ჩანს, ამით არის გაპირობებული ამ ორი ერის, ქართველებისა და ებრაელების, განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულება.

მამა სიონისტი იყო. მონაწილეობდა სხვადასხვა ახალგაზრდულ სიონისტურ ორგანიზაციაში. იყო გერცელ ბაზოვის მიერ ჩამოყალიბებული ებრაული დრამატიული დასის „კადიმას“ აქტიური წევრი. სამამულო ომის დროს, 42 წლის ასაკში, ნებაყოფლობით წავიდა ომში. მიღებული აქვს ორდენები და მედლები. დედას არასრული საშუალო სკოლის განათლება ჰქონდა. მყავს მეუღლე (დოდო — მუსიკის მასწავლებელი ფორტეპიანოს კლასით) და ორი შვილი – ქალიშვილი ლია იაკობი (იაკობაშვილი), მისი მეუღლე სლავა (სიმონი) იაკობი, სტომატოლოგები არიან. ჰყავთ ორი შვილი — ორივემ ჯარი მოიარა და უმაღლესი განათლება აქვთ. მუშაობენ სპეციალობის მიხედვით. ჩემი მეორე შვილი — ილიაც (გია) სტომატოლოგია. მისი მეუღლე — შარონი ბანკში განყოფილების გამგეა. ჰყავთ ორი ვაჟი, უფროსმა ჯარი მოითავა და უნივერსიტეტში სწავლობს. მეორე ჯერ სკოლაშია.

ლ. კრიხელი. განათლება ერსა და მით უმეტეს , აძლიერებს. რამ განაპირობა თქვენი პროფილის არჩევა.

ს. სიმონიშვილი. არასრული საშუალო სკოლის 8 კლასის დამთავრების შემდეგ მე და ჩემმა მეგობარმა საბავშვო ბაღიდან მიშა აჯიაშვილმა სწავლის გაგრძელება სამშენებლო ტექნიკუმში დავაპირეთ. მამაჩემმა გვითხრა: თუ ტექნიკუმში გინდათ სწავლა, საფინანსო ტექნიკუმში ისწავლეთ, თუ არა და სკოლაში განაგრძეთ სწავლაო. შევიტანეთ განცხადება და კონკურსის შედეგად ჩავირიცხეთ. ტექნიკუმის დამთავრერების შემდეგ, სწავლა ლენინგრადის საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტში გავაგრძელე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროში, ბოლო წლებში განყოფილების უფროსად, შემდეგ ვიყავი საქ. სსრ სახ. საგეგმო კომიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სექტორის გამგე, მოსკოვის კოოპინსტიტუტის თბილისის ფილიალის დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე ბოლოს კი ვმუშაობდი საქ. სსრ ფინანსთა სამინისტროს ეკონომიკისა და ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყ. გამგედ და იმავდროულად თბილისის საფინანსო აკადემიის პრორექტორად. ჩემს მიერ ორგანიზებულ იქნა საქართველოში პირველი სააუდიტო ფირმა (როი ხეშ–ბონი). მე ვიყავი გამგეობის თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი. ახალგაზრდობიდანვე ვმუშაობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის კათედრაზე მასწავლებლად საათობრივ ანაზღაურებაზე. და ამავე უნივერსიტეტის სპეცფაკულტეტის – ბიზნესის სკოლის პროფესორად. საქართველოში გამოცემულ იქნა ჩემი არაერთი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 13 მო– ნოგრაფია და 2 სახელმძღვანელო (სტუდენტებისათვის, ერთი ავტორთა კოლექტივთან ერთად).

1993 წელს ცოლ-შვილთან ერთად ამოვედი და ვცხოვრობ ისრაელში, იერუსალიმში.

ლ. კრიხელი. თაობა მიდის, თაობა მოდის, დედამიწა კი დგას. განა ახალი თაობის ხელი არ უნდა ეტყობოდეს დედამიწას. და რა თქმა უნდა, სასიკეთოდ?

ს. სიმონიშვილი. ამჟამად, როდესაც კაცობრიობა გზაჯვარედინზე დგას, როდესაც სახეზეა მორალისა და ეთიკის გადაგვარებისა და დემორალიზაციის საშიშროება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი საკითხების ხელახალ განსაზღვრებასა და სწორ შეფასებას, როგორიცაა ბოროტი და კეთილი, სიყვარული და სიძულვილი, მიღება და გაცემა, რელიგია და მეცნიერება, სიცოცხლე და სიკვდილი და ასე შემდეგ. ებრაული ეთიკა ემყარება ნებისმიერი ადამიანის თავისუფალ ქმედებას. ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ , ან ბოროტი. გარკვეულად ჩვენზეა დამოკიდებული თუ როგორი იქნება ჩვენი ცხოვრება. ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ სიცოცხლის მიზანია მხოლოდ საკუთარი პირადი სურვილების დაკმაყოფილება და სიამოვნების მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში სიცოცხლეს აზრი არ აქვს. ასეთი ადამიანისათვის არ არსებობს ეთიკა და მორალი. და ამ შემთხვევაში არც თუ ისე იშვიათად ყველაფერი შეიძლება, ყველაფერი დაშვებულია. სწორედ ამის შედეგია წინააღმდეგობები და ქაოსი. ჩვენ ყველას გვევალება არა მარტო უზრუნველვყოთ წესრიგის, სამართლიანობისა და ერთობის დაცვა, არამედ ვიბრძოლოთ მათი შემდგომი სრულყოფისათვის.

ლ. კრიხელი. სიყვარულის დეფიციტიაო ამბობენ. რას ფიქრობთ თქვენ ამის თაობაზე.

ს. სიმონიშვილი. სიყვარულთან ერთად თანაარსებობს სიძულვილიც. მაგრამ წინააღმდეგობებისა და გათიშულობის დაძლევა მხოლოდ სიყვარულს შეუძლია, მხოლოდ სიყვარული ქმნის ადამიანთა ნორმალური თანაარსებობის შესაძლებლობას. სიყვარული – ეს არის ადამიანის განსაკუთრებული მიდგომა სხვა ადამიანთან, საგნებთან. მაგრამ ამქვეყნიური სიყვარული ეგოისტურ ხასიათს ატარებს. მე მიყვარს ის, რაც მე სიამოვნებას მანიჭებს და მძულს რასაც უსიამოვნება და ტანჯვა-წვალება მოაქვს. ეს არის ცხოველური ეგოისტური სიყვარული. არსებობს აგრეთვე ჭეშმარიტი სიყვარული. მე მიყვარს ყოველგვარი პირობების გარეშე, მე მისთვის მხოლოდ სიკეთე მინდა, ოღონდაც იგი კარგად იყოს. ადამიანის ამქვეყნად არსებობის მიზანია, თანდათან ებრძოლოს და დაძლიოს ეგოიზმი, გაამრავლოს სიკეთე და სიყვარული.

ლ. კრიხელი. გვჯერა, სიცოცხლე ვინც გვაჩუქა, იგი განაგებს ჩვენს ცხოვრებას. ნუთუ, ადამიანს არ შეუძლია თავისი ბედის წარმართვა?

ს. სიმონიშვილი. ადამიანის ბუნება ხასიათდება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვისებებით. ნებისმიერ, თუნდაც ძალიან კარგ, კეთილშობილ ადამიანსაც კი გააჩნია უარყოფითი თვისებები, რომელთა საფუძველი არის დაუკმაყოფილებული სურვილი. ამის შედეგია შური, სიძულვილი, ბოროტება.

დაბადების დროს, არავინ არაფერს არ გვეკითხება. ადამიანი მისი სურვილისა და ნების გარეშე იბადება, მას არავინ არ ეკითხება როგორი იქნება იგი — ჭკვიანი და ნიჭიერი თუ არა, მაღალი თუ დაბალი. თითონ არ ირჩევს მშობლებს, ეროვნებას, სამშობლოს. თვალების ფერიც კი წინასწარ არის განსაზღვრული. იგი გარკვეული პერიოდი ცოცხლობს და მერე უნდა თუ არა მას ეს, მიდის (სად მიდის?). ადამიანს არ შეუძლია ამ წინასწარ განსაზღვრული მონაცემების არსებითი ცვლილება.

წინასწარ არ არის განსაზღვრული თუ როგორი იქნება იგი, ბოროტი თუ კეთილი, კარგისა თუ ცუდის მოქმედი. მას მინიჭებული აქვს თავისუფალი მოქმედების უფლება. არჩევანი დამოკიდებულია თითონ ადამიანზე. მას შეუძლია რაც უნდა ის აკეთოს, მაგრამ ადამიანი პასუხს აგებს თავის ქმედებებზე. მისი მიმდინარე მდგომარეობა და მომავალი, განისაზღვრება მისი ქმედების შესაბამისად. ინდივიდუუმსა და საზოგადოებას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს და შეცვალოს თავისი ბედი. საჭიროა პოზიტიური აზროვნება და ქმედება.

იუდაიზმი — თორა და კაბალა გვასწავლის, თუ როგორ შეიძლება, ამქვეყნად დამყარდეს ჰარმონია, განხეთქილების ნაცვლად, სიყვარული – სიძულვილის ნაცვლად, სამართლიანობა და სიკეთე – ბოროტებისა და ძალადობის ნაცვლად, ადამიანებს შორის ნორმალური ურთიერთდამოკიდებულება.

ლ. კრიხელი. როდის გაგიჩნდათ კაბალას შესწავლის სურვილი?

ს. სიმონიშვილი. ბავშვობიდანვე მაწუხებდა საკითხი: რას ნიშნავს იყო ებრაელი, რით განვსხვავდებით ჩვენ სხვა ხალხისაგან, რისთვის ვარსებობთ? სადღაც ამოვიკითხე, რომ ნებისმიერი ნორმალური ადამიანის აზრით, ებრაელები არაფრით არ განსხვავდებიან სხვა ხალხისაგან. ებრაელებსაც, ისე როგორც სხვებს, ორი ხელი, ორი ფეხი, ორი თვალი, ერთი თავი და ა. შ. აქვთ. ნუ ერთადერთი განსხვავება ალბათ, ის არის, რომ ზოგჯერ ებრაელებს ებრაულად ნათლავენ. და რა ხდება ამის შედეგად? მათ ტანიერებაში ინერგება ღვთიური სული და ბავშვი თანდათან იწყებს იმის გაგებას, რომ ამქვეყნად არის არა მარტო სიკეთე (სიცოცხლე, სიყვარული თავისუფლება, წესრიგი და ა. შ.), არამედ აგრეთვე მათი საწინააღმდეგო მოვლენები, რომლებიც ყოველივე ამას ხელს უშლიან (ბედ-იღბალი, ბოროტება, სიძულვილი, აგრესია, სიკვდილი და სხვა). ამგვარად, იგი შეიცნობს თუ როგორ არის მოწყობილი ეს ქვეყანა.

მაგრამ კაბალა გვამცნობს, რომ მამაკაცს ქალის გარეშე არ ძალუძს თავისი პოტენციალის სრული გამოვლინება. მას აუცილებლად გვერდით უნდა ყავდეს ქალი. ძლიერი ქალის გარეშე მამაკაცი სუსტია და ძალიან უჭირს. აქ მხედველობაშია არა მარტო ჰორმონალური სწრაფვა, არამედ სხვა სულთან ურთიერთობა. მეუღლეები უთმობენ რა, ესმით რა ერთი მეორესი, ისინი სულიერად მაღლდებიან. ქალი მხარში უნდა ამოუდგეს ქმარს სულიერად. ქალები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ სამყაროს სრულყოფის საქმეში. დ. კარნეგიმ ბევრი ცნობილი ადამიანის ავტობიოგრაფია შეისწავლა და აღმოჩნდა, რომ ნებისმიერი წარმატებული მამაკაცის უკან, ბრძენი ქალი დგას.

ისრაელში შემთხვევით შემხვდა ცნობილი კაბალისტის, მეცნიერის, პროფესორის მიხაელ ლაიტმანის წიგნი კაბალას შესახებ დავუკავშირდი მ. ლაიტმანს და მის ჯგუფს და ერთი წლის განმავლობაში იერუსალიმიდან ჩავდიოდი ბნეი ბრაკში

და ვისმენდი მის საუბარს კაბალას შესახებ.

2005 წ. გამოქვეყნდა ჩემი წიგნი „ იუდაიზმი თანამედროვე პირობებში“, ქართულ ენაზე (315 გვ.). 2015 წ. ვთარგმნე ლაიტმანის წიგნი ზოარის ნაწილი (247 გვ.).

ლ. კრიხელი. პირველი ადამიანის, ადამ არიშონის შემეცნების ხის შეცოდება თუ არა, როგორი იქნებოდა დღევანდელი ცხოვრება?

ს. სიმონიშვილი. კაბალისტები აცხადებენ, რომ პირველი ადამიანის, ადამის გაჩენამდე არსებობდენ ადამიანები. ადამი იყო პირველი, რომელმაც განიცადა სულიერი ამაღლება. შეიცნო სულიერი სამყარო, ერთადერთი გამჩენი, მისი სიდიადე და ამით ჩამოშორდა მანამდე არსებულ ადამიანის მსგავს ცხოველებს. შეცოდების შედეგად ადამიანმა შეიცნო, რომ არსებობს ბოროტი და კეთილი. შეიცნო, რომ დედამიწაზე, მატერიალურ სამყაროში ყველაფერი წარმავალი, დროებითია, არსებობს სიკვდილი, რომ შენი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, უნდა იშრომო, „ოფლითა შენითა მოიპოვო პური შენი“. და ა. შ. ამან უაღრესად დადებითი როლი შეასრულა ადამიანთა წინსვლასა და განვითარებაში. ძნელია იმისი თქმა, შეიცნობდნენ თუ არა, ამას ადამიანები. და თუ შეიცნობდნენ, როდის.

ლ. კრიხელი. მე არ ვეხები პოლიტიკას. მაგრამ პოლიტიკა გვეხება მეც და თქვენც. თქვენი დამოკიდებულება პოლიტიკისადმი.

ს. სიმონიშვილი. პოლიტიკოსები უნდა გრძნობდენ პასუხისმგებლობას, იბრძოდნენ მშვიდობის, წინააღმდეგობების დაძლევის, მომავლის სრულყოფისათვის. ეს ყოველთვის ასე არაა. უკანასკნელ პერიოდში სამყარო ძირფესვიანად შეიცვალა, შეიცვალა ადამიანთა ყოფა-ცხოვრებისა და არსებობის პირობები. დრო და სივრცე თითქოს შეიკუმშა. ფაქტიურად სრულიად ახალი სოციალური მოდელი ჩამოყალიბდა. ჩვენ უკვე სრულიად სხვა პირობებში ვცხოვრობთ. მაგრამ ადამიანი უცვლელი დარჩა — შური, სიხარბე, ქედმაღლობა, ამპარტავნობა, კვლავ ძალაში რჩება. ადამიანთა შორის ურთიერთობა, როგორც წარსულში, ძალადობასა და ძალმომრეობას ემყარება. მსოფლიო გლობალური გახდა, ჩვენ უკვე ამოვწურეთ ექსტენსიური განვითარების შესაძლებლობანი. ბუნება უკვე ვეღარ უზრუნველყოფს რესურსების სათანადო განახლებაა-ღდგენას. ამის შედეგად წარმო– იქმნა უდიდესი წინააღმდეგობები და დაძაბულებანი. დადგა მსოფლიო გლობალური კონფლიქტებისა და გლობალური ომების ეპოქა. მეოცე საუკუნეში ადგილი ჰქონდა უდიდეს რევოლუციებს, ეროვნულ განმათავისუფლებელ ომებს და ორ საშინელ გამანადგურებელ სისხლისმღვრელ

ჰოლოკოსტი გვახსოვს

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა,დოქტორმა მიხეილ მირილაშვილმა კონ-გრესის ოფისში სამუშაო შეხვედრა ჩაატარა ევროპის ებრაელობის კატასტროფის მემორი-ალური კომპლექსის -- „იად ვაშემის“გამგეობის თავმჯდომარე დანი დაიანთან. შეხვედრაზე განხილული იქნა ჰოლოკოსტის ხსოვნის საკითხები, ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე. „იად ვა შემის“ გამგეობის თავმჯდომარემ ეაეკ-ის პრეზიდენტს გადასცა, ამ ორგანიზაციის მიერ გამოცემული ლიტერატურა.ამათ შორის გახლდათ წიგნები „არასასურველი ხსოვნა. ჰოლო-კოსტის ძეგლების ისტორია საბჭოთა კავშირში“, „უნდობლობა, მტრული დამოკიდებულება, სოლიდარობა: საბჭოთა კავშირის ებრაელნი და არეაებრაელნი ჰოლოკოსტის წლებში“

შეხვედრის შემდეგ მიხ. მირილაშვილმა განაცხადა:

--ჩვენი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია,რათა მომავალს გადავცეთ ის, თუ რა ტრაგედია გამოიარა ევროპის ებრაელობამ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საგანმანათლებლო მუშაობის მიზანია ყველას გაახსენო ომის დამანგრეველი შედეგი და ის, თუ რაოდენ ძვირფასია ადამია-ნის სიცოცხლე.

ბაბი იარი

82 წლის წინათ კიევში ებრაელთა დახვრეტა დაიწყო.ბაბი იარი საქვეყ-ნოდ ცნობილი ადგილი გახდა იმით, რომ ნაცისტები და უკრაინელი კოლაბო-რაციონისტები აქ მასიურად ხვრეტდ-ნენ სამოქალაქო პირებს,-- მეტწილად ებრაელებს, ბოშებს, ტყვედ ჩავარდნილ საბჭოთა სამხედროებს. 1941წლის 29-30 სექტემბერს 33771 ებრაელი დახვრიტეს. ზოგიერთი მონაცემი **https://stmegi.com**-ის მიხედვით, ბაბი იარში კიევსა და მის მიმდებარე რაიონებში 150 ათასამდე ებრაელი იქნა დახვრეტილი. ბაბი იარში მხოლოდ 29 ადამიანი გადარჩა.

მსოფლიო ომს. ამჟამად კაცობრიობას მესამე მსოფლიო ომი ემუ ქრება. და თუ კი მას ადგილი ექნება, შესაძლოა, მთლიანად მოისპოს ყოველივე ცოცხალი ამქვეყნად.

სინამდვილეში ეს არის ორი იდე-ოლოგიის, ორი მსოფლმხედველობის, ბოროტისა და კეთილის სამკვდრო-სა-სიცოცხლო დაპირისპირება, რომელიც დაწყებულ იქნა ჯერ კიდევ აბრაამის დროს დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინ და ამჟამად საყოველთაო გლო-ბალური მსოფლიო ხასიათი შეიძინა. ყველაფერი რადიკალურ გარდაქმნას საჭიროებს. პოლიტიკოსებს ამ გლობალ-ური ძირფესვიანი გარდატეხის განხორ-ციელება არ შეუძლიათ.

აბრაამისა და თორის იდეები, ეთი-კური მონოთეიზმი, თავისუფლების, სი-ყვარულისა და სამართლიანობის იდეები იყო უპრეცედენტო მოვლენა, უდიდესი გიგანტური, აზრობრივი, მსოფლმხედ-ველობითი და სოციალური ნახტომი. ეს იყო სულიერი გარდაქმნის გადატრი-ალების ახალი ცივილიზაციის დასაწყი-სი. შემდგომ, როდესაც ჯერ ქრისტიანო-ბამ და შემდეგ ისლამმა, აღიარა თორის იდეები, უზრუნველყოფილ იქნა კაცო-ბრიობის მაშინდელი უკიდურესად მძიმე სავალალო მდგომარეობიდან გამოსვლა და უდიდესი წინააღმდეგობების დაძლ-ევა. კაცობრიობამ თავიდან აიცილა საბოლოო დეგრადაცია და სულიერი დაქვეითება. თანდათან შეიცვალა ადა-მიანთა ყოფიერება და თვით ადამიანიც. ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ტიპის ადამიანი, ის ადამიანი, რომელიც დღეს არსებობს. ამით ადამიანთა მოდგმა გა-დარჩა.

საუკუნეების განმავლობაში თორა, თორის იდეები, როგორც წესი, განა-პირობებდენ ადამიანთა ყოფიერებას და ურთიერთდამოკიდებულებას და დღესაც ფაქტიურად გვინდა თუ არა, მოგვწონს თუ არა ჩვენ ეს, ამჟამად არ-სებული ცივილიზაცია, ეს არის თორის, ათი მცნების იდეებზე დამყარებული ცივილიზაცია. ჩვენ ვცხოვრობთ თო-რისა და ათი მცნების საფუძველზე. არ მოკლა, არ იმრუშო, არ იქურდო, და ა. შ. მთელმა მსოფლიომ აღიარა. სამართალი ამაზეა აგებული. იგი უზრუნველყოფს ადამიანთა და საზოგადოების ნორმალ-ურ ფუნქციონერებას და არსებობას. მა-გრამ ადამიანთა უმრავლესობა, მხოლოდ ზედაპირულად ასრულებს მათ. სწორედ ეს იწვევს წინააღმდეგობებსა და ომებს.

ახალი სიტუაცია, ახალი მდგომარეო-ბა მოითხოვს, რომ თორის ეთიკისა და მორალის წესები საყოველთაო გახდეს. თითოეულმა ჩვენგანმა შინაგანად, მთე-ლი გულითა და სულით უნდა აითვისოს და შეასრულოს ისინი. კაბალა გვიხსნის როგორ შეიძლება ამის განხორციელება. თორამ ერთხელ უკვე გადაარჩინა კა-ცობრიობა. ამჟამად თორის საიდუმლო მოძღვრებამ — კაბალამ კიდევ ერთხელ უნდა გადაარჩინოს ადამიანები.

ლ. კრიხელი. რომელია ყველაზე სა-მახსოვრო დღე თქვენს ცხოვრებაში?

ს. სიმონიშვილი. როგორც ჩანს, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უფრო მნიშ-ვნელოვანი მომენტი იყო, ისრაელში ამოსვლა. ერთის მხრივ, ისრაელში დავკარგე ჩემი მონიტინი, იმიჯი — ის აღიარება და პატივისცემა, რაც იქ გამაჩნდა — ყველაფერი დავკარგე. აქ უბრალოდ არსად არ მიღებდნენ ასაკისა და ენის უცოდინარობის გამო. მეორეს მხრივ, აქ გავიცანი კაბალას საკითხები. კაბალა უაღრესად დიდ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე. გარდაქმნის მას. იგი სულ სხვაგვარად აღიქვამს სამყაროს. სხვაგვარად იწყებს აზროვნებას. ქმედე-ბას. კაბალა გვიხსნის ადამიანის ბუნე-ბას, მის ადგილს და როლს ამქვეყნად. მიუხედავად იმისა, რომ კაბალა უძველე-სი დროიდან მომდინარეობს, იგი იძლევა პასუხს დღეს ჩვენი სამყაროს ნებისმიერი პრობლემის შესახებ. კაბალა გვამცნობს, თუ როგორ შეიძლება სრულყოფილ იქ-ნას თანამედროვე ცივილიზაცია და და-ძლეულ იქნას ამჟამინდელი კრიზისი. იგი აცხადებს, რომ ნებისმიერ ადამიანს ევა-ლება შექმნას ოჯახი, იშრომოს და მონაწ-ილეობა მიიღოს ქვეყნის თავდაცვაში.

ლ. კრიხელი. რაზე გნებავთ ესაუ-ბროთ გაზეთის მკითხველს.

ს. სიმონიშვილი. გაზეთის მკითხვ-ელს მინდა ვესაუბრო ამჟამად არსებული კრიზისისა და ჩვენი როლის შესახებ მის დაძლევაში, მაგრამ როგორც ჩანს, ამჟა-მად ამისი დრო არ არის. გაზეთის მკითხ-ველს მინდა ვუსურვო საქართველო-სადა ისრაელის შემდგომი აღმავლობა. საქართველოს დიდების აღორძინება, არსებული წინააღმდეგობებისა და სიძნელეების დაძლევა, ქართულ-ებრაუ-ლი ურთიერთობების შემდგომი განმტ-კიცება. ცალკეულ ინდივიდუმებს პი-რადი კეთილდღეობა, ჯანმრთელობა, წარმატება და გახარება!

მხატვრის თვალით დანახული ებრაელების ისტორია საქართველოში

მარინე სოლომონიშვილი ებრაელ ქალთა საბჭოსა და საერთაშორისო ფონდ "ლეა"-ს პრეზიდენტია. ის თბილისში, ქართველი ებრაელების ოჯახში დაიბადა. პროფესიით არქიტექტორს, წლების განმავლობაში უღრმავდებოდა ინტერესი ქართველ ებრაელთა ისტორიისა და ტრადიციებისადმი, მოგვიანებით კი ამ თემაზე ხატვაც დაიწყო.

მარინე სოლომონიშვილი "ნეტგაზეთს" ესაუბრა ებრაული თემის საკითხებისადმი ინტერესის მიზეზებზე, იმაზე, თუ როგორ იქცა ბავშვობის წლები მისი ამჟამინდელი საქმიანობის შთაგონების წყაროდ და საქართველოში ებრაელთა დანატოვარზე, რომლის ნაწილიც ნელ-ნელა იკარგება.

დაფარული აღმსარებლობა

დავიბადე და გავიზარდე თბილისში, ძველ უბანში და ახლაც ისტორიულ უბანში ვცხოვრობ. ვფიქრობ, ესაა თბილისის გული, სადაც იგრძნობოდა მისი მრავალფეროვანი და მრავალეროვანი ტოლერანტული სული, რომელიც, სამწუხაროდ, იკარგება დროთა განმავლობაში.

ვიზრდებოდი ებრაულ ოჯახში, რომელიც საკმაოდ მორწმუნე იყო, განსაკუთრებით — დედა და ბებია. როდესაც ებრაულ ტრადიციულ რიტუალებს აღნიშნავდნენ, ეს ყველაფერი ჩვენს თვალწინ ხდებოდა. ჩვენ, ბავშვებიც ვასრულებდით ამ რიტუალებს, მაგრამ სრულყოფილად ვერ აღვიქვამდით, რადგან სკოლაშიც და სასწავლებელშიც ისეთი გარემო იყო, რომელშიც ადამიანები ვერ ან დაფარულად ავლენდნენ თავიანთ ტრადიციებს. თუმცაღა, სკოლაში ყველამ იცოდა პასექი, აღდგომა ერთმანეთის რელიგიურ ტრადიციებს ვეცნობოდით. ეზოც მრავალეროვანი იყო და ძალიან საინტერესო ურთიერთობა გვქონდა.

[რელიგიურ აღმსარებლობასთან დაკავშირებით] მორიდების მიზეზი რამდენიმე იყო. მაგრამ ერთ-ერთს გავუსვამ ხაზს, რომელიც ყველასთვის ცნობილია: კომუნისტურ ეპოქაში მხოლოდ ათეიზმი იყო მიღებული. თუ ვინმე მუშაობდა სკოლაში ან რაიმე თანამდებობა ეკავა, თავისუფლად შეეძლო, ზიანი მიეყენებინა იმ ადამიანებისთვის, ვისაც აღმოუჩენდა, რომ თავად ან მისი ოჯახი იცავდა [რელიგიურ ტრადიციებს], დადიოდა სინაგოგასა თუ ეკლესიაში ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო ამ თავშეკავების. თუმცაღა, [თანამდებობის] პირები, მოგეხსენებათ, სხვადასხვა კატეგორიის არიან და ამ სტრუქტურებში მომუშავე პირებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. რამდენიმე პიროვნება, რომელთა შესახებაც ჩემებისგან გადმოცემით მსმენია, ძალიან საინტერესო დახმარებას უწევდა ბევრ [ადამიანს].

მაგალითად გავიხსენებ ერთ ერთ საინტერესო ფაქტს. როცა ებრაელების სინაგოგის დანგრევა უნდოდათ ონში, ზუსტად ერთ-ერთი ასეთი სტრუქტურის წარმომადგენელმა შეატყობინა ეს ამბავი ადგილობრივებს, რომ იგეგმებოდა ონის სინაგოგის დანგრევა. მოგეხსენებათ, საქართველოს გასაბჭოების პერიოდში როცა კომუნისტები ეკლესია-მონასტრებს დაერივნენ, ბევრი საკულტო ნაგებობა დაანგრიეს. ონის სინაგოგასაც იგივე დაემუქრა. ამიტომ აფრინეს ჯგუფი [თბილისში] თხოვნით, რომ ეს არ მომხდარიყო.

1927 წელს რაბინი ელიაუ ამშიკაშვილი [ონის სინაგოგის ამშენებელი] ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ მისმა მძახალმა – მოსე ბუზუკაშვილმა, მეტად სარისკო ნაბიჯი გადადგა – საკუთარი ოჯახის ქალ-რძალი ჩვილი ბავშვებიანად სინაგოგაში გამოიკეტნენ. მათ ონის ებრაული თემის სხვა ოჯახებმაც მიჰბაძეს. პარალელურად , სოლიდარობის ნიშნად ონში და სოფელ ღარში მცხოვრები ქართველი ქალები ჩვილებიანად (რიგი მათგანი აკვნებით) მოვიდნენ და სინაგოგას წრე შემოარტყეს. მათივე მეშვეობით ტაძარში გამოკეტილ ებრაელ დედებს მალულად რძეს აწვდიდნენ. ტაძარში ჩაკეტილი ებრაელების და გარეთ მყოფი ქართველი ქალებისა და ჩვილების მოთქმამ და ტირილმა ონის სინაგოგის დასანგრევად მისული წითელარმიელები გააოგნა და რაღაც პერიოდით შეაჩერა.

ამასობაში თბილისში წარგზავნილმა ებრაელმა მამაკაცებმა უმაღლეს ხელისუფლებაში საქმე მოაგვარეს, ონში მთავრობის შეწყნარების საბუთი ჩაიტანეს სინაგოგის არ დანგრევის თაობაზე. მაშინ მთავრობაში მყოფი ასეთი პირებიც ძალიან საინტერესოები იყვნენ. ამავდროულად, ეს თვალსაჩინო და ნათელი მაგალითია ქართულ-ებრაული ურთიერთობის, რადგან ებრაელი და ქართველი ქალების ამ თავგანწირული რისკის ფასად სინაგოგა გადარჩა.

როგორ დავიწყე ხატვა

როცა სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე და არქიტექტურის ფაკულტეტი დავამთავრე, ზოგადი ხასიათის პროექტები მქონდა. ვეწეოდი საზოგადოებრივ საქმიანობასაც, მაგრამ სამწუხაროდ, ადრეულ ასაკში გარდამეცვალა ჯერ მამა, შემდეგ, მალევე — დედა. თითქოს, სიცარიელის შეგრძნება მქონდა. ძალიან მინდოდა, პატივი მიმეგო მათი ხსოვნისათვის. დავიწყე ებრაული ტრადიციების ღრმად შესწავლა, მივედი ებრაულ თემში, დავიწყე მუშაობა ებრაულ გაზეთში ამასთანავე მაშინ საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებში „ჯოინთი“ და „სოხნუთი“, ასევე, ისრაელის საელჩოში, იყო "ლიდერობის პროგრამები", რომლის ფარგლებშიც [ისრაელში] გამაგზავნეს.

პირველად როცა ჩავედი და მივედი იერუსალიმში გოდების კედელთან, ვერ გეტყვით, რა მოხდა ჩემში. ღვარად მომდიოდა ცრემლები, საოცარი შეგრძნება დამეუფლა და თითქოს ვიგრძენი წინაპართა განცდები, თვითმყოფადი სული ჩემი მშობლები ყოველთვის ოცნებობდნენ ისრაელში წასვლაზე, თუმცა, ისე გარდაიცვალნენ, სამწუხაროდ, ეს ოცნება არ აუსრულდათ.

ისრაელში მოკლე ვიზიტით ყოფნისას ამომიტივტივდა მოგონებები, ბავშვობაში ბებიას როგორ მივყავდი ხოლმე სინაგოგაში. მაშინ მიუხედავად კომუნისტური წყობისა, ყველა ქართული ებრაული ოჯახი იცავდა ტრადიციებს, თუმცა ჩუმად, დაფარულად.

ძალიან საინტერესო რიტუალებია, მათ შორის, "როშ ა შანა" (ებრაული ახალი წელი, უზენაესის მიერ სამყაროს შექმნის და სიცოცხლის დღესასწაული), "სუქოთი"(კარვების და ოთხი მცენარის კურთხევის დღესასწაული – რაც სიმბოლურად სხვადასხვა ნიშანთვისების ხალხს ნიშნავს და რომ ყველა სასურველია უზენაესისათვის), "ფურიმი" (ებრელ ქალთა მნიშვნელოვანი წვლილის აღსანიშნავი, გამარჯვების დღე,სადაც ტარდება კოსტიუმირებული კარნავალები), სიმხათორა (თორის კითხვის განახლების დღესასწაული, სადაც ბავშვები განსაკუთრებით მხიარულობენ) ეს ყველაფერი მახსენდებოდა.

მერე, იერუსალიმში, მეფე დავითის კოშკში, ძალიან საინტერესო ღონისძიებაზე მოვხვდი, სადაც სლაიდშოუთი იყო მოყოლილი ებრაელი ერის ისტორია. ამან ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და სპონტანურად დავიწყე ხატვა. ჯერ ჩანახატებს ვაკეთებდი იმის მიხედვით, რასაც ვგრძნობდი, ყოველგვარი ესკიზის გარეშე. ძალიან ბევრი ნახატი დამიგროვდა. მაქვს თოჯინებიც, მინანქარში ნამუშევრებიც ჩემი ოცნებაა, რომ მქონდეს სახელოსნო და ეს ყველაფერი იქ იყოს თავმოყრილი, რადგან ებრაულ თემატიკაზე სპეციალური სალონი ან რაიმე მსგავსი ნაკლებად არის საქართველოში იმედია, ეს ოცნება ოდესმე განხორციელდება.

ებრაელები საქართველოში

იერუსალიმში პირველი ტაძარი ძვ.წ. 586 წელს დაანგრიეს, მეორე კი — ახ.წ. 70 წელს. ებრაელების შემოსვლას [საქართველოში] ზუსტად ამ ორ თარიღს უკავშირებენ. პირველი ტაძრის დანგრევისა და ებრაელების დევნის შემდეგ, მათი ნაწილი სხვადასხვა მხარეს წავიდა, თუმცა ნაწილი წამოვიდა აქეთ და დასახლდა მცხეთაში. არის გადმოცემაც, რომ ახალციხის მხარეს დასახლდნენ. ეს დავის საგანია და მკვლევრები ერთმანეთში არ არიან შეთანხმებულნი, მაგრამ თავისთავად, ორივე მხარე ძალიან საინტერესო ისტორიის მქონეა.

როცა იერუსალიმში მეორე ტაძრის დანგრევის შემდეგ საქართველოში წამოვიდნენ ებრაელები, ისინი ნამდვილად მცხეთაში [დასახლდნენ], რისი დამადასტურებელი ბევრი ისტორიული ფაქტიც არის.

როგორც საქართველოში არიან გურულები, სვანები, მეგრელები, ასევეა ებრაელებშიც — კუთხურობა. ქართველი ებრაელი ზოგადი ფრაზაა, [თუმცა] იქ არის ახალციხელი ქართველი ებრაელი, ცხინვალელი, ქუთაისელი ყოველ კუთხურ თემს აქვს თავისი ტრადიციები, თავისი ძალიან საინტერესო სამზარეულო და ხელოვნების ნიმუშები. ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ ყველაფრის არდაკარგვა და შეგროვება. მიდის ხალხი, ზოგი გარდაიცვლება და იკარგება ეს მდიდარი, საინტერესო მემკვიდრეობაა. ალბათ სასურველი იქნებოდა, ახალგაზრდები ამ ძველი ტრადიციის კვლევით დაინტერესებულიყვნენ.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, როგორც ზოგადი ხასიათის ღონისძიებებზე, ისე ებრაული საკითხებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე. იქ დავინახე ის, თუ რითაა საქართველოში ებრაული თემი გამორჩეული. ეს არის თუნდაც კულტურა, არქიტექტურა, სამოსი, საკვები, ადამიანური ურთიერთობები როდესაც სხვა ქვეყნების ებრაული თემების წარმომადგენლები ეცნობიან [საქართველოს ებრაულ მემკვიდრეობას], ძალიან აინტერესებთ და ხანდახან უკვირთ კიდეც, რომ ასეთი მდიდარია ეს მემკვიდრეობა. ამ მხრივაც იქნებოდა საინტერესო მისი შენახვა, რადგან ამით საქართველოც წარმოჩინდება, როგორც მდიდარი, მრავალფეროვანი ქვეყანა.

ხშირად მსმენია, რომ საქართველო [საზღვარგარეთ ებრაელებმა]გაიცნეს რაბინ დავით ბაზოვის სიტყვით გამოსვლისას 1903 წელს გამართულ ბაზელის სიონისტურ კონგრესზე. როცა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ამბობდნენ, თუ სად და როგორ ხდებოდა მათ ქვეყნებში ანტისემიტური გამოსვლები, ებრაელთა პოგრომი და დისკრიმინაცია, რაბინმა ბაზოვმა თქვა, რომ მე ვარ იმ ქვეყნიდან, სადაც არ ყოფილა ებრაელთა დევნაო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ არა — ერთადერთი.

ვფიქრობ, სხვადასხვა ისტორიული თუ თანამედროვე ფაქტების შესწავლა, თუ რა წვლილი მიუძღვით ებრაელებს საქართველოში და ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს წარმოჩენაში მნიშვნელოვანია.

კულტურული მემკვიდრეობის პრობლემა

ებრაელთა რელიგიური ნაგებობებიდან გადარჩა ისინი, რომლებიც დაუბრუნდა თემს, რადგან თემის სახსრებით მოხდა მათი რეაბილიტაცია.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ცხინვალელი, ისე ახალციხელი ებრაელების მემკვიდრეობა, რადგან ერთი ბაბუა ცხინვალელი ებრაელი მყავს, ხოლო მეორე — ახალციხელი. ძალიან ბევრი მსმენია მათგან ამ ორი თემის ისტორიის თაობაზე. ორივე მათგანის ისტორია ძალიან საინტერესოა. სამწუხაროდ, მოგეხსენებათ, კონფლიქტის მერე თითქმის ნანგრევებად არის ქცეული სინაგოგა, რომელიც ცხინვალში იყო დარჩენილი. ბევრია საუბარი, რომ უნდა აღადგინონ, მაგრამ [ეს არ ხდება].

რაც შეეხება ახალციხეს, სამწუხაროდ, იქ ბევრი ისტორიული მაგალითია დაკარგული. შემორჩენილია ორი სინაგოგა: მოქმედი სინაგოგა აშენებულია 1863 წ. (მის. გურამიშვილის 90), მეორე სინაგოგა აშენებულია 1902 წ.(მის. გურამიშვილის 87), ორივე სინაგოგას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2010 წლიდან. 1953 წელს, სტალინის ბრძანებით, ახალციხის ორივე სინაგოგა ჩამოერთვა ებრაულ თემს და დაიკეტა. დაკეტვიდან ორი თვის შემდეგ სტალინი გარდაიცვალა. სათავეში ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ კი, მისივე ბრძანებით, მხოლოდ ერთი-ზედა სინაგოგა დაუბრუნეს ებრაულ თემს. ეს სინაგოგა დღესაც მოქმედია, ხოლო მეორე სალოცავი, რომელიც ასევე ძალიან საინტერესო არქიტექტურის შემცველია, სამწუხაროდ, ჯერ გამოყენებული იქნა, როგორც სპორტდარბაზი, შემდეგ — როგორც რაღაც სხვა დაწესებულება. სინაგოგა დღემდე სახელმწიფო ბალანსზეა. ეს თავისთავად არ იქნებოდა აღქმული უარყოფითად, რომ მომხდარიყო შენობის რესტავრირება და შენახვა. წლებია, სალოცავი ძალიან სავალალო მდგომარეობაშია და დღითიდღე უარესდება მისი მდგომარეობა: აღარც იატაკია, შესასვლელი კარი დაზიანებულია და არ იკეტება, სახურავი ნახევრად ახდილია და დღეს თუ ხვალ დაინგრევა. მიუხედავად არაერთი მიმართვისა, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობასთან, ასევე სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, რომ რაღაც მხრივ მომხდარიყო ხელშეწყობა, ჯერჯერობით, არაფერი კეთდება.

ასევე, მნიშვნელოვანია ახალციხის ებრაული სასაფლაო, რადგან იქ არსებული საფლავები ბევრი კულტურული მემკვიდრეობის მცირე ფორმებია (ზოგი მათგანი რამდენიმე საუკუნის წინანდელია და ამსტერდამის ებრაულ სასაფლაოს ადარებენ. ასევე საინტერესო წარწერებია სხვადასხვა ებრაულ დიალექტზე, რისი კვლევაც მნიშვნელოვანია.

არის მაგალითად, ბათუმის მეორე სინაგოგა (9 მარტის ქუჩაზე), რომელსაც

უნიკალური მიკვე (რიტუალური განსაბანი ადგილი) ჰქონდა. ძალიან საინტერესო კერამიკით იყო მოჭიქურებული. ის დაინგრა, თუმც კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა, უკვე ნანგრევს.

ზოგადად რეგიონების პრობლემა ისიც არის, რომ გარდა სინაგოგებისა, იყო სახლები, სადაც გამოჩენილი პიროვნებები ცხოვრობდნენ. ამაზე არაფერი კეთდება, თუ თავად მათმა შთამომავლობამ არ გააკეთა.

თბილისშიც დაკარგულია უკვე რამდენიმე სინაგოგა, თუნდაც, კიევის ქუჩაზე. ისინი უკვე დანგრეულია და მათ ადგილზე სხვა შენობებია აშენებული. ამ მემკვიდრეობაზე საუბარს აზრი აღარ აქვს. რაც დღესაა შემორჩენილი, იმაზე უნდა ვიზრუნოთ. მაგალითად, რეგიონებში არსებულ სალოცავებზე, უნდა ვიზრუნოთ, განსაკუთრებით მათზე რომლებიც არის ძალიან სავალალო მდგომარეობაში. კი ბატონო, მრევლი არ არის, მაგრამ ეს ხომ ისტორიული ნაგებობებია?

ებრაული და სხვა ეროვნული ისტორიული და კულტურული, არამატერიალური და მატერიალური მემკვიდრეობა – ეს საქართველოს მემკვიდრეობაა და ამ მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე ორივე მხარემ უნდა იზრუნოს. არ უნდა იყოს ცალმხრივი დამოკიდებულება. უნდა უწყობდნენ ხელს დონორებიც და თემიც რა თქმა უნდა, მაგრამ პირველ რიგში, სახელმწიფო.

[საერთო ჯამში] კარგი [მაგალითებიც] არის და ცუდიც. გააჩნია, როგორ შევხედავთ. ალბათ ამ კარგს უნდა გავუფრთხილდეთ და რაც პრობლემურია, ის გადავჭრათ.

მეორე მხრივ, სინაგოგებთან დაკავშირებით გამოვყოფდი ერთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხს. გარდა მართლმადიდებლური ეკლესიისა, ყველა კონფესიისთვის არის ალბათ მტკივნეული საკითხი, როცა შენობასთან მიმაგრებული მიწის ნაკვეთი არ ეკუთვნით მათ. [თავის დროზე] თემი ჯერ ყიდულობდა მიწის ნაკვეთს და მერე აშენებდა სალოცავს. როცა [საბჭოთა დროს] ჩამოერთვათ ეს სინაგოგები, ჩამოერთვათ მიწის ნაკვეთებთან ერთად. შემდეგ, როდესაც ნაგებობები დაუბრუნდათ, მაშინ უნდა დაჰბრუნებოდა მიწის ნაკვეთიც, [თუმცა ეს არ მომხდარა].

საქართველოში არის ასეთი კანონი, რომ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობანაგებობა არის იმის საკუთრება, ვისიც არის მიწის ნაკვეთი. იმედია, ცუდი არაფერი მოხდება და ეს შენობები იქნება დაცული, მაგრამ ხვალ რომ რაიმე პოლიტიკა შეიცვალოს, იმ ფონზე, რომ მიწის ნაკვეთები არც ერთ კონფესიას ეკუთვნის, ყველა ეს ნაგებობა ჰაერში იქნება გამოკიდებული. საუბარია 49-წლიან იჯარაზე და ა.შ, მაგრამ ეს არ არის ის, რაც რეალობაში უნდა [კეთდებოდეს]. ალბათ არ არის ძალიან რთული, რომ სახელმწიფომ [თემს] მიაკუთვნოს ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც არის განთავსებული ნაგებობა.

კვალი

რა კვალი დატოვეს ებრაელებმა? აღვნიშნავ მაგალითად იმას, თუ რა გააკეთეს მათ საქართველოსთვის. ძალიან თანამედროვე ისტორიიდან მოვიყვან ერთ-ერთ მაგალითს, როცა საქართველოს [1918 წლის] დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა სამმა ებრაელმა. როცა მენშევიკური მთავრობა გაიქცა საქართველოდან, ეს სამი ებრაელიც თავისთავად, გაჰყვა მათ საფრანგეთში. ესენი არიან მოსე დავარაშვილი, ილია გოლდმანი და იოსებ ელიგულაშვილი.

მათ ბევრი საინტერესო სამუშაო გასწიეს ისეთ საქმეებში, როგორიცაა, მაგალითად, საქართველოს განძეულის შენახვა ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად. თვითონ ექვთიმე თაყაიშვილსაც აქვს ეს [ნახსენები] თავის ჩანაწერებში. როდესაც გოლდმანის შვილმა, თინამ, [განძის] გარკვეული ნაწილი დაუბრუნა საქართველოს, ეს ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი იყო, რადგან საქართველოს განძეულის ძალიან დიდი ნაწილი დაიცვეს. მათ არ დაინანეს არც ფინანსური სახსრები და არც ის მონდომება, რაც უნდა გაეწია საქართველოს მოყვარულ ადამიანს.

ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ - კ უ ლ ტ უ რ უ ლ ცხოვრებაში ძალიან ბევრი საინტერესო პიროვნებაა. ამ პიროვნებების სახეები დაიკარგა. ძალიან საინტერესო არქიტექტორები იყვნენ, რომელთა გვარებიც მარტო ჩვენ ვიცით. იყვნენ საინტერესო კომპოზიტორები, მხატვრები ვებგვერდიც შეიქმნა სხვადასხვა დარგში ებრაელი მოღვაწეების შესახებ, თუმცა ამ პიროვნებების მოკვლევა ბევრს გაუჭირდა, ძალიან მწირი მასალა იყო და აღარც გამხდარა ეს ვებგვერდი ძალიან ცნობილი, რადგან ჩაითვალა, რომ დიდი მნიშვნელობის ვერ იქნებოდა.

ემიგრაცია ისრაელში

როცა რაიმე დღესასწაულს აღნიშნავენ, ებრაელებში [გავრცელებულია] ასეთი დალოცვა: "წელს აქ და მომავალ წელს — იერუსალიმში". ეს როდესაც გესმის ბავშვობიდან, იმ ქვეყანაში მყოფს, რომელიც გიყვარს და სადაც ცხოვრობ, [გიჩნდება განცდა], თითქოს მეორე კოდიცაა ჩადებული შენში, რომ იმ ისტორიულ სამშობლოში უნდა დაბრუნდე. ვფიქრობ, ამან მისცა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიძგი ემიგრაციას საქართველოდან [ისრაელში]. ძალიან საინტერესოა ის, რომ პირველმა 18 ოჯახმა ქუთაისიდან, ვინც ისრაელში ემიგრაცია სცადა, შეიტანა განცხადება და მაშინდელ პრემიერ-მინისტრს, გოლდა მეიერს მიაწვდინა ხმა, რომ სურდათ საბჭოთა კავშირიდან წასვლა.

თუმცა, მათ შთამომავლებს იგივე სიყვარული აქვთ გაყოლილი საქართველოსადმი. ჩემს ძმისშვილს ჰყავს ცოლად ქალი, რომლის დედ-მამაც 45 წლის წინ წავიდა აქედან. ბავშვები კი აქ დაიბადნენ, მაგრამ და 2 თუ 3 წლისები წავიდნენ. მათმა შვილმა იცის ქართული. ქვეყანა თუ არ გიყვარს, ამას შენს [შვილებს] ვერ შეუნარჩუნებ. შენ თვითონაც პატარა ბავშვი იყავი და თუ არა ქართული ენისა და ტრადიციების დიდი სიყვარული, [ენა] იქ არ წაგყვებოდა.

ონელი ებრაელების გაცილება ისრაელში. ფოტოს მფლობელია ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ფოტო შესულია კოლექციაში "ეროვნული ფოტომატიანე".

ემიგრაციამ ალბათ ორი [ფუნქცია] შეასრულა: ერთი, ებრაელებს გამოყოლილი ჰქონდათ ჰოლოკოსტის ძალიან მწარე მაგალითი, რეპრესიების ძალიან მძიმე პერიოდი. ამიტომ უნდა ჰქონოდათ თავიანთი სამშობლო, სადაც იქნებოდნენ დაცულნი. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ემიგრაციის ნაწილში, მათ შორის, საქართველოდან.

რაც შეეხება [უარყოფითს]: ვფიქრობ, ძალიან მომაკლდა ის, რაც იგივე, დღესასწაულების აღნიშვნის დროს იყო; ასევე, შეხვედრები, რომლებიც ბავშვობიდან მახსოვს — ქორწილები, დაბადების დღეები, ძალიან საინტერესო ურთიერთობები. ეს დაიკარგა. ძალიან საინტერესო მონაყოლები, რომლებიც მე მახსოვს ფრაგმენტულად, მაგრამ შეიძლება, მერე დაიკარგოს მაგალითად, ჩემი ბიძაშვილი, რომელიც ამერიკაშია 20 წელზე მეტია, რომ გააღვიძო, ყველაფერს ჩამოგითვლით, იმდენად გაყოლილი აქვს ეს სიყვარული და გახსენება.

ჩემი ნათესავებიდან უმეტესობა წასულია. არამხოლოდ ისრაელში — ზოგი ევროპაში, ზოგი — ამერიკაში ჩემთვის შემოუთავაზებიათ, [სამუშაო] ადგილებიც კი. იმხანად გაგონებაც არ მინდოდა, მაგრამ [ახლა] ხანდახან გამიელვებს ხოლმე, რადგან ძალიან კარგ ადგილებს მთავაზობენ, იგივე, ჟენევის უნივერსიტეტში, იერუსალიმში, ამერიკაში არც ერთგან არ დავრჩი. ჩასულიც ვიყავი, მაგრამ მაქსიმუმ 1 თვეზე მეტი არ დავრჩენილვარ. ალბათ ერთ-ერთი მაგალითი ვარ, თუ როგორ მიყვარს საქართველო. შეიძლება ეს შეცდომა იყო, შეიძლება — არა, არ ვიცი, მაგრამ საქართველოს სიყვარულით დავრჩი აქ.



ხმელეთიდან, ზღვიდან, ჰაერიდან

წმინდა მიწაზე, ისტორიულ სამშობლოში ამოსულ ქართველ ებრაელობას, მეგობრების უზარმაზრი არმია დაგვრჩა მშობლიურ საქართველოში! სწორედ მათგან მოგვდის, უამრავი ზარი და სმს-ები, თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, სამტრედიიდან, სხვადასხვა ქალაქების ორგანიზაციებიდან, სამეცნიერო წრეებიდან... ცოტა ხნის წინ, თავშესაფარში მოგვისწრო ზარმა მწერალთა კავშირიდან, თავად მისი თავმჯდომარე, ქ -ნი მაყვალა გონაშვილი დაინტერესდა ვითარებით, სიტუაციით, რომელიც დღეს სუფევდა ისრაელში.

მოგმართავთ მეგობრებო, ვერ გიმკლავდებით ყველას გიპასუხოთ, იყავით მშვიდად, აქ ისეთი არაფერი არ ხდება, რაც არ მომხდარა, ჩვენ ამას ყველაფერს შეგუებულები ვართ, გამოგვიმუშავდა იმუნიტეტი და არ გვეშინია...

ცუდი ისაა, რომ ხამასმა დაიწყო ომი, მაგრამ არა უშავს ისრაელი „დაუმთავრებს"...

ებრაელი ერის რელიგია, ეს არ არის ფუფუნების რელიგია! ვინც იცის სახარება, მან უნდა იცოდეს ებრაელი ერის ისტორიაც! იგი არის დევნილების, ემიგრანტების და რეპატრიანტების რელიგია! აქეთ ზღვა, იქეთ გარშემო შემოსაზღვრული არაბული ქვეყნების მთელი ოკეანეთი, 100 მილიონზე მეტი მოსახლეობით, სადაც მის 80 % -ს ბრბო შეადგენს, საით წახვალ, როგორც გითხარით, აქეთ ზღვა, იქეთ მთელი ოკეანე არაბული სახელმწიფოების, ამას გარდა, ქვეყნის შიგნით, ისრაელის მთელს ტერიტორიაზე მიმოფანტული, 2 მილიონზე მეტი არაბია, ამას კიდევ დაემატა, მსოფლიოს 74 ქვეყნიდან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის, ებრაელი-რეპატრიანტების, ჩემი და ჩემნაირების ჩამოსვლა, რომლებსაც, სახელმწიფოსთვის, ჯერ არაფერი არ მიგვიცია და მისგან კი ყველაფერს ვთხოულობთ... ვთხოულობთ გვასწავლონ ენა... ვთხოულობთ სამსახურს, საცხოვრებელ ბინას, ვთხოულობთ დახმარების კალათას, ბანკებიდან სესხს, ვთხოულობთ მანქანებს ნახევარ ფასებში და ა. შ. არ გიკვირთ რას უძლებს ქვეყანა ?

ეს ისრაელია! და აი ამ ქვეყანას, დღეს, 7 ოქტომბერს ამ პატარა და საოცარ ქვეყანას, რომელიც მსოფლიოს პოლიტიკურ გეოგრაფიულ რუქაზე, წერტილივით მოჩანს და ის წერტილიც, ლუპით უნდა მოძებნო და ნახო, რომ რუქაზე იპოვო ისრაელი...

ქვეყანას, სუქოთის დღესასწაულის „სიმხათორის" საზეიმო ბოლო დღე ჰქონდა... მაგრამ, ღაზიდან შემოსულმა ნიაღვარმა, წალეკა საზეიმო განწყობა და „სიმხათორის" საზეიმო წუთები...

დრო თავშესაფრებში სირბილს, მწუხარებას და ტელევიზორებთან საშინელებათა ყურებას დაუთმეს! როცა ამ სტრიქონებს ვკრეფ, თქვენთვის უკვე ცნობილია, რაც მოხდა დღეს ისრაელში. რა მოხდა? მოხდა იმაზე მეტი საშინელება, რაც აქამდე მუდამ ხდებოდა ... ცხოველთა ინსტიქტების დონეზე მოაზროვნე ბრბო, გვიტევდა... გვიტევდა ხმელეთიდან, ზღვიდან, ჰაერიდან... ამას ყველაფერს მათ ხომ სკოლაში, პირველივე კლასიდან ასწავლიან! ბავშვი, როცა მიდის სკოლაში და ხდება, პირველი კლასის მოსწავლე, ალფავიტის ნაცვლად, სათამაშო ავტომატებს ურიგებენ და „ომობანას" გაკვეთილებს უტარებენ !

ისრაელის არმიას შესწევს ძალა, არ დაუშვას ბრბოს ბატონობა რეგიონში, ამგვარ ბრძოლებში ვიკრებთ ძალას, ამგვარ ბრძოლებში ვიწრთობით, ვძლიერდებით და გამოგვიშავდება იმუნიტეტი...

ამიტომაც მოგიწოდებთ მეგობრებო სიმშვიდისაკენ, ჩვენ არ გვეშინია და თქვენც ნუ შიშობთ, ყველაფერი კარგად იქნება... მადლობა სრულიად საქართველოს, მადლობა ყველას, ვინც მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოხატა

ჩვენს მიმართ!

კიდევ ერთხელ გთხოვთ დამშვიდდეთ, ხამასმა დაიწყო ომი ?

კვლავ გიმეორებთ ისრაელი „დაუმთავრებს" !

რობერტ ადარი



„ჰამასის“ მიერ ისრაელზე თავდასხმის დღეებში ბრძოლის ველზე დაეცა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური დირექტორის — ხაიმ ბენ იაკობის ვაჟი — იუვალი.

ეაე კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი და კონგრესის ყოველი თანამშრომელი დიდ თანაგრძნობას უცხადებს დოქტორ ხაიმ ბენ იაკობის ოჯახს შვილის დაღუპვის გამო.

გაზეთ „მენორა“-ს რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ქართველი ებრაელობის დიდ მეგობარს, ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალურ დირექტორს ხაიმ ბენ იაკობს ვაჟიშვილის-- **იუვალ ბენ იაკობის** დაღუპვის გამო.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, ,
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30

EAJC EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003